

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საგამომცემლო საქმიანობის სრულყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ” რექტორის 2014 წლის 5 მარტის NN#43/01-01 ბრძანების დანართი #3

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხოური სასწავლო ლიტერატურისა და სამეცნიერო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. უცხოური სასწავლო ლიტერატურისა და სამეცნიერო ლიტერატურის (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, ლექციების კურსი, სამეცნიერო ლიტერატურა - შემდგომში - „პუბლიკაცია“) ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ტექსტში შემდგომ - „უნივერსიტეტი“ ან „თსუ“) ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის საფუძველზე, მთარგმნელობითი და საგამომცემლო საქმიანობისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტით (სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტით) გათვალისწინებული გამოყოფილი ფინანსური რესურსების ფარგლებში.
2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს მთარგმნელობითი საქმიანობისა და მის შედეგად მიღებული პროდუქციის უნივერსიტეტის მიერ გამოცემის წესსა და პროცედურის ეტაპებს.

მუხლი 2. მთარგმნელობითი საქმიანობის ინიცირება და გადაწყვეტილების მიღება თარგმანის განხორციელების შესახებ

1. უცხოური სასწავლო ლიტერატურისა და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა უნდა ემსახურებოდეს საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესის ხელშეწყობასა და ხარისხის ამაღლებას (დასაბუთება თარგმნის არსებული, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებასთან დაკავშირებით ან/და სამეცნიერო კვლევისა და შესაბამისი სამეცნიერო დარგის განვითარების და გამდიდრების აუცილებლობის შესახებ), უნდა დასტურდებოდეს საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესისათვის კონკრეტული პუბლიკაციის თარგმნის აუცილებლობა.
2. უცხოური სასწავლო ლიტერატურისა და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნის ინიციატივა, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად, შესაძლებელია დაისვას მხოლოდ იმ სტრუქტურული ერთეულების მიერ (ან მათი მეშვეობით), რომლებისთვისაც უნივერსიტეტის ბიუჯეტით ამ მიზნით გამოყოფილია შესაბამისი სახსრები და გამყარებული უნდა იყოს არანაკლებ შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის (პროფესორის) ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე დოქტორის სათანადო აკადემიური ხარისხის მქონე პირთა მხრიდან. წერილობითი ინიციატივა უნდა შიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) სათარგმნი პუბლიკაციის დასახელება, მოკლე აღწერა, მოცულობა;
 - ბ) პუბლიკაციის ენა, რომლიდანაც უნდა ითარგმნოს იგი და ითარგმნება თუ არა იგი ორიგინალის ენიდან;
 - გ) იმ გამომცემლობის სრული სახელწოდება და მისი ზუსტი რეკვიზიტები სრულად, რომლის გამოცემული ეგზემპლარიდანაც უნდა მოხდეს თარგმანის განხორციელება;
 - დ) თარგმნის განხორციელების საშუალება (შრომითი ხელშეკრულება ან მომსახურების შესყიდვა) და ასეთის არსებობის შემთხვევაში მთარგმნელის/მთარგმნელების ვინაობა, მათი ბიოგრაფია და სავარაუდო რედაქტორი.
3. სათარგმნად წარდგენილი პუბლიკაცია უნდა აკმაყოფილებდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საგამომცემლო საქმიანობის სრულყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ” რექტორის 2014 წლის 5 მარტის #43/01-01 ბრძანების მე-2 დანართის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს (სასწავლო ლიტერატურის შემთხვევაში) და მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“, „გ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს (სამეცნიერო ლიტერატურის შემთხვევაში).
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი ინიციატივა იგზავნება შესაბამისი ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოში. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო იხილავს წარდგენილ ინიციატივას და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში წარუდგენს მას უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს.
5. უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭო ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს წარდგინების საფუძველზე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნისა და გამოცემის თაობაზე და ქართულად გამოსაცემი თარგმანისათვის გრიფის („თარგმანი გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით“) მინიჭების შესახებ, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების არსებობა ადგენს სათარგმნად წარდგენილი პუბლიკაციის თარგმნისა და გამოცემის მიზანშეწონილობას (შესაძლებლობას).

მუხლი 3. თარგმნის უფლების მოპოვება, თარგმნა და თარგმნილი მასალის გამოცემა

1. წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული, უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაძლებლობებიდან გამომდინარე ადმინისტრაცია (მისი სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის ფარგლებში და ფაკულტეტების უფლებამოსილებების გათვალისწინებით) უზრუნველყოფს თარგმნისა და გამოცემისათვის აუცილებელი ღონისძიებების მხარდაჭერას მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.
2. თარგმანის პროცესის ორგანიზება ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი წესის მიხედვით ფაკულტეტების მიერ (შესაბამისი კომპეტენციის პირთა მოძიებისა და მათთან შრომითსამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე თარგმნის პროცესის ორგანიზების სახით), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფაკულტეტების მიერ ამოწურული იქნა მათ უფლებამოსილებაში შემავალი შესაძლებლობები, რა დროსაც დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე თარგმანი შესაძლებელია განხორციელდეს

მთარგმნელობითი მომსახურების შესყიდვის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. მთარგმნელობითი საქმიანობის ორგანიზებამდე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი ერთეულის მეშვეობით ხდება ქართულ ენაზე თარგმნისა და ქართულ ენაზე გამოცემის უფლების მოპოვება იმ სუბიექტისაგან, რომელიც სარგებლობს შესაბამისი საავტორო უფლებებით და ამ უფლებების მესამე პირზე გადაცემის უფლებით კონკრეტულ სათარგმნ პუბლიკაციაზე.

4. თარგმნისა და გამოცემის უფლების კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვების შემდგომ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ ხორციელდება თარგმნის პროცესის მხარდაჭერა (პროცედურის მიმდინარეობაზე კონტროლი, მისი მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით და ფინანსური მხარის უზრუნველსაყოფად - იმისდა მიხედვით, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რომელი პროცედურით მიმდინარეობს თარგმნის პროცესი).

5. თარგმნის პროცესის დასრულების შემდგომ, უნივერსიტეტი ვალდებულია შეამოწმოს ნათარგმნი მასალის ხარისხი და დაადგინოს მისი სისწორე და ვარგისიანობა (კონტროლი). ამ ვალდებულების შესრულება შესაძლებელია იტვირთოს უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭომ, საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე (რაზედაც გადაწყვეტილება მიიღება ცალკე და წინასწარ უნდა იყოს აღნიშნული ამ წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას), წინააღმდეგ შემთხვევაში, კონტროლი და თარგმანის ხარისხის და სისწორის დადასტურება ხორციელდება იმ სტრუქტურული ერთეულის მიერ, რომლის ინიციატივაც იყო შესაბამისი პუბლიკაციის თარგმნა.

6. თარგმნილი პუბლიკაციის ქართულ ენაზე დადგენილი წესით გამოცემის (იმ სუბიექტთან წერილობით შეთანხმებული პირობებით, რომლისგანაც მიღებულია თარგმნისა და ქართულ ენაზე გამოცემის უფლება) გადაწყვეტილების საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გაიცემა მითითება, უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებისა და უფლებამოსილი სუბიექტის მიერ ნათარგმნი მასალის ხარისხის, სისწორე და ვარგისიანობის დამადასტურებელი წერილობითი დასკვნის არსებობის თანახმად, ნათარგმნი პუბლიკაციის გამცემის შესახებ.

7. ქართულ ენაზე ნათარგმნი შესაბამისი პუბლიკაციის თსუ სტამბაში გამოცემისას მასზე დაიტანება თსუ გრიფი.

8. მასალები, რომლების საფუძველზეც უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოში განხორციელდა გადაწყვეტილების მიღება, ინახება ამავე საბჭოში.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

